ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის
დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით გამოცხადებული
კონკურსის პრეტენდენტ
კახაბერ ჭეიშვილის
კონცეფცია და სამოქმედო გეგმა
2016-2020 წლებისთვის

შესავალი:

წინამდებარე კონცეფცია გამომდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცხადებული მისიიდან და მიზნებიდან, პასუხობს რეალურ დროში უნივერსიტეტში არსებულ გამოწვევებს და ეფუძნება უნივერსიტეტის იდეას. ამასთან, ის სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. კერძოდ, ორიენტირებულია ფინანსების განკარგვის მოდელის სრულყოფაზე; უნივერსიტეტის ადმინისტრირების სისტემის მოდერნიზაციასა და ეფექტიანობის ამაღლებაზე; ანგარიშვალდებულების მექანიზმის დახვეწაზე; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საუნივერსიტეტო განათლების თავსებადობის ამაღლების ხელშეწყობაზე; განათლების ხელმისაწვდომობის ზრდაზე; კვლევის, სწავლებისა და სწავლის თავისუფლებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე; უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაზე. აგრეთვე, ემსახურება ეგზისტენციალურ ღირებულებებსა და ეროვნულ თვითშეგნებაზე, ქართულ ცნობიერებასა და კულტურაზე დაფუძნებული თანამედროვე ევროპული ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისთვის სათანადო პირობების შექმნას.

მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული ხედვა სრულ თანხვედრაშია XIX საუკუნის ქართველ განმანათლებელთა, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა და მრავალი თაობის უნივერსიტეტელთა მიზნებთან, იმედებსა და რწმენასთან, რომ უნივერსიტეტის უმაღლესი ამოცანაა მეცნიერების ღრმად დაუფლების, სწავლისა და კვლევის პროცესის ორგანულად ურთიერთშერწყმის საფუძველზე პიროვნების მსოფლმხედველობრივი, მორალური, მოქალაქეობრივი და პროფესიონალური ჩამოყალიბება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების 4-წლიანი ვადის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმის კონცეპტუალური მთლიანობის მიუხედავად, მოცემული რეალობის გათვალისწინებით, ის ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ: „2+2“.

აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ 2018 წლის თებერვალში, ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელის არჩევიდან 2 წლის თავზე, თსუ-ს უსრულდება საიუბილეო 100 წელი. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი რესურსი და ერთგვარი წყალგამყოფია უნივერსიტეტის რებრენდინგისა და „ახალი საუნივერსიტეტო ეპოქის“ დასაწყებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია პრინციპული, გადამჭრელი და გეგმაზომიერი ნაბიჯების გადადგმა უნივერსიტეტის განსაკუთრებული სტატუსის დეკლარირება-რეგლამენტაციისთვის. პროფესორებისა და სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით ხსენებულმა პროცესმა უნდა მიიღოს რაც შეიძლება ფართომასშტაბიანი, რეზონანსული და გამჭვირვალე ხასიათი, საუნივერსიტეტო საზოგადოებამ თითოეულ გამოწვევას ობიექტური თვითშეფასებითა და მაღალი თვითორგანიზებით უნდა უპასუხოს. საბედნიეროდ, ამის რესურსი, მიუხედავად განვლილი წლების მტკივნეული და არაერთგვაროვანი პროცესებისა, კიდევ არსებობს. 100 წლის იუბილეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა შეხვდეს, როგორც ეროვნული იდეისა და იდენტობის, კლასიკური განსწავლულობისა და მეცნიერების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამამკვიდრებელი, სახელწიფოებრივი აზროვნებისა და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების საყრდენი პლატფორმა.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები უნდა შესრულდეს შიდასაუნივერსიტეტო დონეზე - რექტორთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან, ფაკულტეტებთან, სტუდენტებთან, საგარეო დონეზე კი - შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუციებთან, საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის კვალდაკვალ.

უნივერსიტეტი უნდა განვიხილოთ როგორც კორპორაცია და ადმინისტრაციულ ნაწილში სწორედ ამ პრინციპს უნდა დაეფუძნოს მისი მართვა. სახელდობრ, გადაწყვეტილებების მიღების ტრანსფარანტული მექანიზმის დანერგვით; მატერიალური, ფინანსური, ადამიანური რესურსების ოპტიმალური დაგეგმვით; გასული წლების გამოცდილების ანალიზისა და ახლად წარმოქმნილი გამოწვევების გათვალისწინებით.

აუცილებელია შეიქმნას ყველა პირობა კვლევისა და სწავლებისთვის, ცოდნის დაგროვებისა და გავრცელებისთვის, სამართლიანი და ჯანსაღი გარემოს ფორმირებისთვის, კორპორაციული კულტურის დანერგვისთვის. საუკეთესო საუნივერსიტეტო ტრადიციების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ფონზე, პერმანენტულ ზრუნვას საჭიროებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და განვითარება, აგრეთვე, თანამშრომელთა გადამზადება, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება. ადმინისტრაციის თითოეული თანამშრომელი უნდა აცნობიერებდეს თავის წილ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის უმთავრესი ფუნქციის - სასწავლო და სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი და გამართული განხორციელების - უზრუნველყოფის საქმეში.

ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლს შორის კომუნიკაცია და საქმიანობა უნდა გახდეს გაცილებით მობილური და მოქნილი. შესაბამისად, ადმინისტრაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს დროისა და რისკების მენეჯმენტმა, მაგალითად, ტენდერებთან მიმართებით. ფაქტია, რომ გასულ წლებში 40%-ზე მეტი ჩაშლილი ტენდერი ცალსახად ნეგატიურად აისახა კონკრეტულ მიმართულებებზე და შეაფერხა ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური განვითარების პროცესი. ხსენებული მანკიერი პრეცენდენტების გამოსარიცხად ადმინისტრაციას სამომავლოდ განსაკუთრებული ყურადღებისა და ოპერატიულობის გამოჩენა მართებს. ამავე კონტექსტში უნდა განიხილოს მან საბიუჯეტო თანხების აუთვისებლობის საკითხი, რის უგულებელყოფამაც წლიდან წლამდე რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ნაშთი შეადგინა.

სტრატეგიულ დატვირთვას ატარებს სრული და დაუყოვნებელი ინვენტარიზაციის ჩატარებაც; საბალანსო დოკუმენტაციის მოწესრიგება; ფაქტობრივი, დე-იურე და სადავო ქონების პრობლემატიკის შესწავლის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა, რაც, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ისე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა კომპეტენტურ უწყებებთან დიალოგის გზით უმოკლეს ვადებში დაასრულებს უნივერსიტეტის სასარგებლოდ ქონების გადაცემისა და ბალანსზე აყვანის საკითხებს. ინვენტარიზაციის შედეგად უნდა დადგინდეს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები და მათი ჩამოწერა ან/და შემდგომი განკარგვა უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების ზედმიწევნით დაცვით.

<u>სამოქმედო გეგმის ძირითადი პარამეტრები:</u>

1. კომპონენტი: ადმინისტრაციის რეორგანიზაცია

მოტივაცია:
ადმინისტრაციის დეფექტური მუშაობა მეტწილად განპირობებულია სტრუქტურისა და ბიუროკრატიული პროცედურების მოუქნელობით სერვისების მიწოდებისა და მართვის სფეროში. ძირითადი დატვირთვა მოდის მომსახურების მიმღების მხრიდან დაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. არ არსებობს პროგნოზირებისა და სერვისების წინსწრებით დაგეგმვის მექანიზმები. არ ხდება წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების სამენეჯმენტო გამოცდილების შესწავლა და გაზიარება. ხშირ შემთხვევაში დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია და უნარები ვერ აკმაყოფილებს მაღალ სტანდარტებს. მწვავედ დგას დავალებების არაჯეროვნად დელეგირებისა და საშუალო ან/და ქვედა რგოლებიდან ინიციატივების უქონლობის

საკითხი. ბუნდოვანია სტიმულირებისა და წახალისების მექანიზმი, რაც მოტივაციის ამაღლების პროცესს აფერხებს.

მიზნები და ამოცანები:
ადმინისტრაციის მოქნილი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.
საუნივერსიტეტო სერვისების განვითარება.
ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლება, თითოეულ მათგანში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება.
ინიციატივების წახალისება.

კომპონენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი ქმედებები:
ადმინისტრაციის სტრუქტურის ოპტიმიზაცია და რეორგანიზაცია.
თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი და მიღებული შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.
მოწინავე უნივერსიტეტების სამენეჯმენტო გამოცდილების შესწავლა და დანერგვა.
დონორებისა და პარტნიორი უნივერსიტეტების დახმარებით მიზნობრივი მივლინებების, სტაჟირებებისა და ტრენინგების პერმანენტული დაგეგმვა/ორგანიზება პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.
ფუნქციური სახელფასო დანამატის გაცემის წესის შემუშავება, და მის შესაბამისად ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვისა და ანაზღაურების პროცედურის განსაზღვრა.
პრემიების გაცემაზე კონტროლის გამკაცრება და გამჭვირვალე, სამართლიანი სისტემის დანერგვა.

2. კომპონენტი: უნივერსიტეტის საბიუჯეტო რესურსების ეფექტური განკარგვა

მოტივაცია:
უკანასკნელი წლების მანძილზე დამკვიდრებულია მანკიერი ტრადიცია კონკრეტული წლის საბიუჯეტო თანხების არასრულყოფილად ათვისებასთან დაკავშირებით. ბიუჯეტში მკაფიოდ იკითხება მხოლოდ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ასიგნებები, ხოლო დანარჩენი პუნქტები ბუნდოვანია და ხშირ შემთხვევაში არ არის სათანადოდ ჩაშლილი. ფინანსების განკარგვის პროცესი ვერ აკმაყოფილებს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს. გასაძლიერებელია უნივერსიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობა.

მიზნები და ამოცანები:

ბიუჯეტის ეფექტური დაგეგმვა და საბიუჯეტო თანხების მაქსიმალურად ათვისება ისე, რომ განხორციელდეს რაც შეიძლება მეტი პროექტი და მინიმუმამდე დავიდეს ნაშთის ოდენობა.
ბიუჯეტში პროგრამული მიმართულებების დეტალიზაცია.
ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის გამკაცრება.
უნივერსიტეტისთვის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვება.

კომპონენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი ქმედებები:
ფინანსების დივერსიფიცირება და ფაკულტეტებზე თანხების გადანაწილებისას სხვადასხვა მიმართულებასა და დარგს შორის პარიტეტულობის პრინციპის დაცვა.
კამპანიის წამოწყება და მართვა უნივერსიტეტის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების მოთხოვნით.

3. კომპონენტი: ინფრასტრუქტურის გამართვა და თსუ-ს კორპუსებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა

მოტივაცია:
უკვე რამდენიმე ათეული წელია, პირველი კორპუსის გარდა, უნივერსიტეტის ფაქტობრივად არც ერთ კორპუსს არ ჩატარებია კაპიტალური სარემონტო სამუშაოები და არ განახლებულა ინფრასტრუქტურა, რის გამოც მორალურად მოძველებული მეურნეობა და სივრცე ვეღარ აკმაყოფილებს პირველობის ამბიციის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მიზნები და ამოცანები:
უმთავრეს მიზანს წარმოადგენს უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში, განსაკუთრებით კი პირველი 2 წლის მანძილზე სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციებისგან დაფინანსების მოზიდვა მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.
პარალელურ რეჟიმში საკუთარი რესურსებით შედარებით მცირებიუჯეტიანი პროექტების განხორციელება (მაგალითად: მაღლივი კორპუსის შიდა ეზოს მოასფალტება, კეთილმოწყობა, გამწვანება; „ქართული ბაღის“ მოწყობა ბიოლოგების კორპუსის მიმდებარედ - ქართული ენდემური ბუნებრივი და კულტურული ჯიშების გაშენება; პირველი კორპუსის ბაღის კეთილმოწყობა; პირველი კორპუსის უკან, ქვედა ეზოს გასუფთავება და მისთვის ფუნქციის მინიჭება და ა.შ.).
სტუდენტური კვების ობიექტების არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება.

ასევე, უკვე დაწყებული სამუშაოების მონიტორინგი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების პროცესში მყოფი პროექტების წარმატებით დასრულება.

კომპონენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი ქმედებები:
სამუშაო ჯგუფის ფორმირება.
უნივერსიტეტის კორპუსებში ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული (გათბობისა და ვენტილაციის სისტემები, წყალგაყვანილობა და კანალიზაცია, გაზიფიცირება და ელექტროობა და სხვ.) და სარემონტო (სახურავების მდგომარეობა, ფართების კლასიფიკაცია და ოდენობა და ა.შ.) სამუშაოების დეტალური შესწავლა, აღწერა და მათ განსახორციელებლად შესაბამისი დროის გრაფიკის მომზადება.
ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიების რეალური მდგომარეობის (ასფალტის საფარი, გამწვანება, კეთილმოწყობა და სხვ.) შეფასება/აღწერა.
განსახორციელებელი პროექტების რიგითობის განსაზღვრა ჩატარებული კვლევების საფუძველზე.
ადეკვატური პირობებით შესაბამისი ტენდერების მყისიერი გამოცხადება/ჩატარება.
„ქართუ ჯგუფთან“ მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ განახლება მეორე კორპუსის რემონტთან დაკავშირებით.
2016 წლისთვის დასაფინანსებელი პროექტების წარდგენა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის და მათი ადვოკატირება.

4. კომპონენტი: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

მოტივაცია:
უნივერსიტეტში აუდიტორიების უმრავლესობა აღჭურვილია ამორტიზებული სასწავლო ინვენტარითა და ტექნიკით. ამასთან, საკუთრივ აუდიტორიებიც მეტწილად, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაშია. იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო ლაბორატორიებთან მიმართებით. განახლებას საჭიროებს უნივერსიტეტის ავტოპარკი. გასაძლიერებელია საინფორმაციო-ტექნოლოგიების მიმართულება.

მიზნები და ამოცანები:
ამორტიზებული აუდიტორიებისა და ლაბორატორიების აღწერა და გრადაცია მათი მდგომარეობის მიხედვით.
შეცვლას დაქვემდებარებული სასწავლო ინვენტარისა და ტექნიკის იდენტიფიცირება.
ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა.
უნივერსიტეტის სერვერების საიმედოობისა და წარმადობის დადგენა.

კომპონენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი ქმედებები:
პირველ ეტაპზე განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არსებული აუდიტორიების რემონტი, რამაც უნდა მიიღოს პერმანენტული ხასიათი სხვა აუდიტორიებთან მიმართებითაც.
ახალი სასწავლო ინვენტარისა და ტექნიკის შეძენა.
ლაბორატორიების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სამეცნიერო აპარატურითა და მასალებით აღჭურვა.
ახალი ავტომობილების შეძენა ავტოპარკის გასაახლებლად.
სერვერების უფრო ძლიერი პროცესორებით აღჭურვა.

5. კომპონენტი: სტუდენტების ხელშეწყობა

მოტივაცია:
უნივერსიტეტის ძირითად ნაწილსა და უმთავრეს ბირთვს სტუდენტობა წარმოადგენს. სრულფასოვანი სწავლა, დასვენება და სტუდენტური ცხოვრება განმსაზღვრელი ეტაპია თითოეული ახალგაზრდის აქტიურ, განათლებულ და თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესში. უფრო მეტიც, სტუდენტობის საზოგადოებრივი აქტივობა არაერთხელ გამხდარა მაგალითის მიმცემი და მოტივატორი სხვა სოციალური ჯგუფებისთვისაც, თუმცა დღეს საქართველოში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება ჩვენი საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილზე. ეს ყოველივე, სამწუხაროდ, აუფერულებს სტუდენტური ცხოვრების ყოველდღიურობას და ელემენტარული ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებულ სტუდენტებს ძალიან უჭირთ სხვა საკითხებზე კონცენტრირება.

მიზნები და ამოცანები:
სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული სტუდენტების ხელშეწყობა და სტიმულირება.
სტუდენტური საერთო საცხოვრებლის პრობლემის მოგვარება (თანამედროვე კამპუსი).
„ტაბახმელის“ სასწავლო ცენტრის რეაბილიტაცია და სრულფასოვანი ექსპლოატაცია (საწარმოო პრაქტიკებისთვის, საზაფხულო სკოლების მოსაწყობად, სტუდენტური კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზებისთვის და სხვ.).
გაცვლით პროგრამებსა და სხვადასხვა საერთაშორისო სტუდენტურ აქტივობაში თსუ-ს სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა.

კომპონენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი ქმედებები:

შესაბამისი ფინანსური და სხვა ტიპის რესურსების მობილიზება.
თანამედროვე კამპუსის პროექტირება და მშენებლობა.
„ტაბახმელის“ ცენტრის ეტაპობრივი რეაბილიტაცია.
ეროვნულ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებში, ზამთრის/საზაფხულო სკოლებსა და სხვა სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობის წილობრივი დაფინანსება.
ყოველწლიური დარგობრივი (ისტორია, ფილოლოგია, სამართალი, ეკონომიკა, ფიზიკა და სხვ.) და სახელობითი სტიპენდიების დაწესება.
მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო პროექტებისთვის დაფინანსების გათვალისწინება.
სტუდენტური ინიციატივების წახალისება.

6. კომპონენტი: კულტურა და სპორტი

მოტივაცია:
თანამედროვე საქართველოს, ისევე როგორც მთელი ცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთი მწვავე პრობლემა და გამოწვევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში თუნდაც მინიმალური სტანდარტების დაცვაა. სწორედ აღნიშნული მდგომარეობის გამოძახილია სახელმწიფოს მიერ ქვეყნის უზენაეს კანონში დეკლარირებული პოზიტიური ვალდებულებაც, რომლის შესაბამისად თითოეულ ახალგაზრდას მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი ფიზიკური განვითარებისა და სპორტში ჩართულობის თვალსაზრისით. ამასთან, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების კვალდაკვალ, არანაკლებ მნიშნელოვანია თითოეული პიროვნების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების შემოქმედებითი განვითარება და თითოეულ მათგანში არსებული პოტენციალის რეალიზება. ხსენებული საკითხი კიდევ უფრო დიდ დატვირთვას იძენს საკუთრივ თსუ-სთან მიმართებით განხილვისას, სადაც ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა არაერთი ტრადიცია და მიღწეულ იქნა თვალსაჩინო წარმატებები კულტურასა თუ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში.

მიზნები და ამოცანები:
თსუ-ში ჯანსაღი ცხოვრები წესის პროპაგანდა.
უნივერსიტეტელთა შემოქმედებითი განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

კომპონენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი ქმედებები:
თსუ-ს ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების ფინანსირება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა.

შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების, გამოფენების, სხვა ტიპის კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა.
სპორტული სტადიონებისა და დარბაზების მშენებლობა, კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია.
სტუდენტური საკალათბურთო გუნდის ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა.
სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ორგანიზების სტიმულირება და საპრიზო ფონდების შექმნაში მხარდაჭერა.

7. კომპონენტი: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები

მოტივაცია:
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, მის შემადგენლობაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები თსუ-ს იურისდიქციაში აღმოჩნდნენ, თუმცა მათი ინტეგრაციის პროცესი მძიმედ მიმდინარეობს. პრინციპებისა და წესების სისტემა, რომელიც წლების მანძილზე აკადემიის სისტემაში ხსენებული ინსტიტუტების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარეობდა, ახალ რეალობასთან სათანადოდ ვერ ადაპტირდება. შესაბამისად, დღესდღეობით ახლად ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უნივერსიტეტისთვის თითქოს ზედმეტი ტვირთია და ვერ რეალიზდება მათი პოტენციალი.

მიზნები და ამოცანები:
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტში ინტეგრაციის დაჩქარება და ხელშეწყობა.
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აკადემიური პოტენციალის რეალიზაციისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

კომპონენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი ქმედებები:
ბიზნესის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინკუბატორის, ე.წ. „ტექნო პარკის“ დაფუძნება. ინკუბატორის პროექტის განსახორციელებლად კაპიტალის, მათ შორის, ვენჩორული კაპიტალის მოზიდვა.

8. კომპონენტი: რექტორის სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა

მოტივაცია:
უნივერსიტეტის განვითარების, სამეცნიერო და აკადემიური თავისუფლების გარანტიების შექმნის, მაღალი აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის, პროცესების გამჭვირვალობისა და სამართლიანობის, თსუ-ს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო

ასპარეზზე წარმოჩენა, რის პრეროგატივაც უნივერსიტეტის რექტორს აქვს, მოითხოვს მისი სამოქმედო გეგმის აქტიურ მხარდაჭერას ადმინისტრაციის მხრიდან.

მიზნები და ამოცანები:
თსუ-ს რექტორის სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა.

კომპონენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი ქმედებები:
ფაკულტეტების თემატური რეორგანიზაციის მხარდაჭერა. ფაკულტეტების რეორგანიზაციისთვის ფინანსური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის გეგმის მომზადება და შეთავაზება.
აკადემიური და სამეცნიერო ინოვაციების ინიციატივების ფინანსური უზრუნველყოფა.
საბიბლიოთეკო სისტემის სრულყოფა და საფაკულტეტო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შევსება.
თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემის შესახებ პროექტის განხორციელების ხელშეწყობა.
უნივერსიტეტის ბიუჯეტში წლიდან-წლამდე მზარდი რესურსის გამოყოფა წიგნადი ფონდების შესავსებად და საგამომცემლო საქმიანობისთვის.

9. კომპონენტი: მარკეტინგული პროექტები

მოტივაცია:
თსუ-სა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სულ უფრო მზარდი კონკურენცია მოითხოვს მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობას. თსუ-ს იმიჯი, რომელიც ასოცირდებოდა უპირობო პირველობასთან მრავალი ათწლეულის განმავლობაში, ზემოაღნიშნულმა ტენდენციამ რამდენადმე გააფერმკრთალა.

მიზნები და ამოცანები:
თსუ-ს, როგორც №1 უნივერსიტეტის იმიჯის განმტკიცება.
თსუ-ს კორპორაციული ბრენდინგის ინტენსიფიკაცია

კომპონენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი ქმედებები:
პროექტის: „საუკუნის უნივერსიტეტი“ განხორციელება.
თსუ-ს კურსდამთავრებულთა ასოციაციის (alumni) დაფუძნება.
თსუ-ს განვითარების ფონდის დაარსება.
თსუ-ს კორპორაციული ატრიბუტიკით სხვადასხვა ნივთის/სუვენირის დამზადება და გავრცელება.
თსუ-ს ვებ-გვერდის მოდერნიზაცია.

<u>რეზიუმე:</u>

წინამდებარე კონცეფცია და სამოქმედო გეგმა წარმოადგენს კომპლექსური ღონისძიებების ნაკრებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირებისთვის. ამასთან, აღნიშნული პაკეტი ქმნის საფუძვლიან წინაპირობას უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების პროცესის შეუქცევადობის უზრუნველსაყოფად. რაც მთავარია, დოკუმენტი ორიენტირებულია პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის სამეცნიერო და აკადემიური პროცესის მაღალი სტანდარტების შესაბამისად წარმართვის ხელშეწყობაზე.